პროექტი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
განკარგულება №
---თებერვალი 2025 წელი

ქალაქ თბილისში, მთაწმინდის რაიონში, ტაბახმელას მიმდებარე ტერიტორიაზე მდებარე უსახელო ქუჩისთვის და მასთან არსებული შესახვევისთვის საქართველოს სახალხო არტისტის, მოცეკვავის ომარ მხეიძის სახელის მინიჭების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის - "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მთაწმინდის რაიონში, ტაბახმელას მიმდებარე ტერიტორიაზე მდებარე უსახელო ქუჩას და მასთან არსებულ შესახვევს მიენიჭოს საქართველოს სახალხო არტისტის, მოცეკვავის ომარ მხეიძის სახელი, თანდართული რუკის თანახმად.

2. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ოთხი თვის ვადაში, უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ტყემალაძე**


X:480195 Y:4614343
X:480323 Y:4614292
I შეს
X:480072 Y:4614263
X:480452 Y
X:480320 Y:4614261
ომარ მხეიძის ქ.
X:479027 Y:4613754

თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს

ბატონ გიორგი ტყემალაძეს

მოქალაქე აკაკი მხეიძის (პ/ნ 01008000310)

ტელ.: 599 503 020

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

ბატონო გიორგი,

გთხოვთ, თბილისის ერთ-ერთ ქუჩას მიენიჭოს ომარ მხეიძის (25.04.1935-17.07.2023) სახელი.

საქართველოს სახალხო არტისტი, თბილისის საპატიო მოქალაქე ომარ მხეიძე სამი ათეული წელი საქართველოს ხალხური ცეკვის სახელმწიფო ანსამბლ „სუხიშვილების" წამყვანი სოლისტი იყო. ანსამბლთან ერთად ომარ მხეიძე მსოფლიოს 87 ქვეყანაში იმყოფებოდა გასტროლზე. არაერთი ჯილდოს მფლობელ მოცეკვავეს 2016 წლის 8 ივნისს ქართული ხალხური ცეკვის პოპულარიზაციაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის ფონდმა „ქართული გალობა" მიანიჭა „ღვაწლმოსილი მოცეკვავის" წოდება. 2011 წელს თბილისის დიდ საკონცერტო დარბაზთან გაიხსნა მისი სახელობის ვარსკვლავი. ომარ მხეიძეს საქართველოს ქორეოგრაფიის მოღვაწეთა შემოქმედებითმა კავშირმა საუკუნის მოცეკვავის წოდება მიანიჭა.

პატივისცემით,

აკაკი მხეიძე

12.11.2024

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულო
TBILISI CITY MUNICIPAL ASSEMBLY

წერილის ნომერი: **03-032504913**
თარიღი: **18/02/2025**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი ქალაქ თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო
მისამართი: თბილისი, შარტავას ქ. N7

სააგენტოს უფროსს ქალბატონ ნინო ბაგაშვილს

გაცნობებთ, რომ სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიაში მიმდინარეობს ადმინისტრაციული საქმისწარმოების პროცესი აკაკი მხეიძის 2024 წლის 11 ნოემბრის საქმე #19/032431732-03 დაკავშირებით, რომლითაც მოთხოვნილია თბილისის ერთ-ერთი ქუჩისთვის საქართველოს სახალხო არტისტის, მოცეკვავის ომარ მხეიძის სახელის მინიჭება.
გთხოვთ, შეისწავლოთ დანართში ჩვენს მიერ არაპროფესიონალურად მოხაზული ტერიტორია და გამოგვიგზავნოთ მთაწმინდის რაიონში, ტაბახმელას ტერიტორიაზე არსებული უსახელო ქუჩის და მასთან მდებარე შესახვევის სიტუაციური ნახაზი დანართისა და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის #14-59 დადგენილების შესაბამისად.

დანართი 4 (ოთხი) გვერდი.

ლევან აბაშიძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია-კომისიის
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო

წერილის ნომერი: **16-01250503585**
თარიღი: **19/02/2025**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
მისამართი: თავისუფლების მოედანი N2

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარე

ბ-ნ ლევან აბაშიძეს

მის: თავისუფლების მოედანი #2

ტელ:+995(32)2 15 92 92

ბატონო ლევან,

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტომ განიხილა თქვენი 18.02.2025 წლის #03-032504913 (18.02.2025 წ. #14-01250491425-16) განცხადება, რომლის პასუხადაც მოთხოვნის შესაბამისად გიგზავნით კარტოგრაფიულ მასალებს არსებული დასახლების, სკვერის, სპორტული მოედნის, გზის, ჩიხების, შესახვევისა და გასასვლელების მითითებით. (იხ. დანართი)

პატივისცემით,

ნინო ბაგაშვილი

სააგენტოს უფროსი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

ომარ მხეიძე

(1935_ 2023)

ქართველი მოცეკვავე, ფაზისის საერო აკადემიის ნამდვილი წევრი, აკადემიკოსი, საქართველოს სახალხო არტისტი, ღირსების ორდენის კავალერი, თბილისის საპატიო მოქალაქე

ომარ მხეიძე დაიბადა სოფელ სხვავაში, ამბროლაურის რაიონში. 1975 წელს დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. 1953 წლიდან იყო საქართველოს ხალხური ცეკვის ანსამბლის წამყვანი სოლისტი (ხელმძღვანელი ჯანო ბაგრატიონი); 1954 წლიდან იყო საქართველოს ხალხური ცეკვის ანსამბლის მოცეკვავე (ხელმძღვანელები ნინო რამიშვილი, ილიკო სუხიშვილი), სადაც 30 წელი იღვაწა. იყო კინოკომპანია „ჯიმ შვანთეს" ერთ-ერთი დამფუძნებელი; 1984–1989 წლებში თბილისის სადღესასწაულო რიტუალების სასახლის დირექტორი; ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის კულტურისა და ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტის ქორეოგრაფიული კათედრის კონსულტანტი; ქართული რეპერტუარი: „ხევსურული სიუიტა", „მხედრული", „შეჯიბრი", „მუხამბაზი", „მთიელ ვაჟთა ცეკვა", „ქაჯეთის აღება"; გასტროლები ჰქონდა 87 ქვეყანაში ანსამბლთან ერთად.

მიღებული აქვს არაერთი წოდება, მათ შორის: „წლის ადამიანი" (გაზეთი „რაეო", 2005), „ქართული კულტურის ამაგდარი" (ქ. თბილისის მერია, 2009), „ქართული კულტურის რაინდი" (საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირი, 2013), საპატიო სიგელი „სახალხო სიყვარული", როგორც ორი საუკუნის ქართული ცეკვის ლეგენდა (საერთაშორისო ორგანიზაცია „სახალხო დიპლომატია", 2014), „საუკუნის მოცეკვავე" (საქართველოს ქორეოგრაფიის მოღვაწეთა შემოქმედებითი კავშირი, 2014), „ხელოვნების ქურუმი" (საქართველოს კულტურის სამინისტრო, 2015), პატრიარქ ილია მეორის ინიციატივით, ფონდმა „ქართული გალობა", 2016 წლის 8 ივნისს, ქართული ხალხური ცეკვის პოპულაპიზაციაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის მიანიჭა — „ღვაწლმოსილი

მოცეკვავის წოდება“. 2011 წელს თბილისის დიდ საკონცერტო დარბაზთან გაიხსნა მისი სახელობის ვარსკვლავი.

ომარ მხეიძე 2023 წლის 17 ივლისს 88 წლის ასაკში გარდაიცვალა.

მიღებული აქვს შემდეგი ჯილდოები

2015 — საპატიო ბათუმელის წოდება მიენიჭა

2012 — საქართველოს ეროვნული პრემია

2000 — თბილისის საპატიო მოქალაქე

1996 — ღირსების ორდენი

1971 — საქართველოს სსრ სახალხო არტისტი

1963 — საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი

ქუთაისის საპატიო მოქალაქე

ფოთის საპატიო მოქალაქე

1981 წელს გადაღებულია ფილმში „გამოაღეთ ფანჯრები „ - ნოდარი. (რეჟ. დევი აბაშიძე)